ახალი გაზეთი

,,მეფენიერია ის, ვისაკენ სამშობლოსათვის უძგერს გული,,

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა. განთიად ნარევდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 27 აგვისტო №8 (8207) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

მარიამობას გილოცავთ!

ლიდგორის ძლევამოსილი ბრძოლიდან 903 წელი შეესრულდა

ჩვენი გამორჩეული მარიამი

გვ7.

გვ2.

ერთაწმინდაში რთულ საგზაო მონაკვეთზე

გვ2.

ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა

სახალხო დღესასწაული "დიდგორობა" თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დიდგორის ველზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

ღონისძიებაში, ტრადიციულად, კასპის მუნიციპალიტეტმაც მიიღო მონაწილეობა.

სპეციალური კუთხე წარმოდგენილი იყო ქართული რეწვისა და ხელოვნების ნიმუშებით, ხალხური საკრავებით და სხვა.

საკონცერტო ღონისძიებაში მონაწილეობდა კასპის მამაკაცთა ანსამბლი "მოურავი".

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები.

გვ4.

,,თხოთი,, ტრადიციას განაგრძობს

გვ4.

,,ჩვენთვის სიმღერა უსწავლებია,,

გვ2.

სკვერების მოწყობა დასრულდა

გვ2.

ახალგაზრდების მოთხოვნით

ახალი სკოლის მშენებლობა მალე დაიწყება

გვ6.

ჭიდაობას რა უნდა...

16 წელი - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან

კასპის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა ომის ვეტერანებთან ერთად პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ქალაქის ცენტრში შეკრებილებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.

მამა ალექსანდრემ მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ომს, კასპის მუნიციპალიტეტიდან 4 მებრძოლი შეეწირა: გელა თიგიშვილი, იოსებ ბეჟუაშვილი, ალბერტ ბალხამიშვილი და კახა კოშაძე. კასპის დაბომბვისას დაიღუპა რკინიგზის მეისრე მურაზ მერებაშვილი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა, ყოფილ მებრძოლებთან ერთად, სოფელ ხოვლეში კახა კოშაძის, აღაიანში სოსო ბეჟუაშვილის, ბოჟამში ალბერტ ბალხამიშვილისა და სოფელ კოდისწყაროში გელა თიგიშვილის საფლავები გვირგვინებით შეამკეს.

ერთაწმინდაში რთულ საგზაო მონაკვეთზე

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდაში რთულ საგზაო მონაკვეთზე დასრულდა არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაო.

გზაზე მოწყობილია დამცავი კედელი და რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი.

კეთილმოწყობილმა საგზაო ინფრასტრუქტურამ უზრუნველყო ადგილობრივების უსაფრთხო გადაადგილება.

პროექტი რეგიონის განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შპს "ბესკო" -ს მიერ განხორციელდა.

93-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, ვგროვებს, ინახავს ჩვეთნის ისტორიას, ბეჭდავს ეს ფურცელ ყვითელ ჭრიგვს, ეძნის ჩვენი ცხოვრების შეფულოვმაზებელ მაცდიანეს. გახლით ჩვენი მეითხველი!

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფლისის ცენტრში მდებარე სკვერს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

განახლებულ სკვერში მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, სკამები, სასმელი წყლის სოკო, ღამის განათება, დაირგა წიწვოვანი ხეები.

ქალაქ კასპში ლესელიძის ქუჩაზე დასასვენებელი სკვერის მოწყობა დასრულდა.

სკვერში განთავსდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, სკამები, ღამის განათება, დაირგა წიწვოვანი ხეები. სკვერის მიმდებარედ გარე მოხმარების ფიტნეს ტრენაჟორებიცაა მოწყობილი და ადგილობრივებისთვის ერთიანი სპორტული და დასასვენებელი სივრცე შეიქმნა.

პროექტი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სკვერების მოწყობა დასრულდა

ახალგაზრდების მოთხოვნით

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსტეში, ადგილობრივი ახალგაზრდების მოთხოვნით ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტს შპს "ნიუ ჩინ" ახორციელებს, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით მუნიციპალიტეტში გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა.

ახალი სკოლის მშენებლობა მალე დაიწყება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში არსებული საჯარო სკოლის დემონტაჟის სამუშაოები დასრულდა.

ახალი სკოლის მშენებლობა მალე დაიწყება, რომელსაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მსოფლიო ბანკი - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი აფინანსებს.

შენობა 120 მოსწავლეზეა გათვლილი და თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის ყველა პირობას ითვალისწინებს.

სკოლის შენობის დემონტაჟისა და მშენებლობის ღირებულება 4 439 655 ლარია.

ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა

კასპის მუნიციპალიტეტის სადგურ მეტეხის დასახლებაში ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა დასრულდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დასრულებული სპორტული მოედანი დაათვალიერა.

ხელოვნურსაფარიანი მოედანი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფლისის ცენტრში მდებარე სკვერს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

განახლებულ სკვერში მოეწყო ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, სკამები, სასმელი წყლის სოკო, ღამის განათება, დაირგა წიწვოვანი ხეები.

ქალაქ კასპში ლესელიძის ქუჩაზე დასასვენებელი სკვერის მოწყობა დასრულდა.

სკვერში განთავსდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, სკამები, ღამის განათება, დაირგა წიწვოვანი ხეები. სკვერის მიმდებარედ

ახალი ცხოვრება ახალ მეფისქალაქში

გაშუალდებოდა აგვისტო, მოვიდოდა ფერისცვალებადღე და, როგორც ბუნებრივი კანონზომიერება, აგრილდებოდა, ამინდი შეიცვლებოდა, სიცხე იკლებდა, მაგრამ წლევანდელი 19 აგვისტოს ფერისცვალება ისე ჩამოდგა, ამინდი შეღავათს თითქოს არ იძლევა, სიცხე თავისას "უბერავს"...

აგვისტოს ცხელი ხვატი ისევ შეიგრძნობა თეძმის ხეობაში. მეფისქალაქისაკენ ვეშურებით. სამანქანო გზა, ზემო ჩოჩეთიდან ვიდრე გარიყულამდე, შესამჩნევი შეაღმართით მიუყვება თრიალეთის ქედის კალთებძირში შეფენილი სოფლებისაკენ (ნოსტე, ახალციხე, ერთაწმინდა). უპირველესად კი მეფისქალაქია!

ნამდვილად იგივეა სოფელი, იგივეა ხალხი, ისეთივეა აქაურთა ყოველდღიური საქმიანობა და საფიქრალ-საზრუნავი, მაგრამ არა, თითქოს სხვაგან უნდა შევიდეთ, სხვა სოფელში. აკი, კასპიდანვე მოყოლებული, საგზაო მაჩვენებლები გვაუწყებს, რომ ჩვენ მივდივართ "მეფისქალაქში" და არა "ახალქალაქში". ნამდვილად ასეა, თემმისპირა სოფლის ცხოვრებაში არსებითი სიახლეა: სახელი გადაირქვა და დაიბრუნა ისტორიული, საუკუნოვანი, ძველებური "მეფისქალაქი" (2024 წლის 7 აგვისტოდან ოფიციალურად, ქვეყნის პრემიერის ხელმოწერით, დადასტურდა სახელდების ფაქტი).

... მაშ, ასე, მეფისქალაქში ამ ზაფხულში მეორედ ვეწვიეთ საბავშვო ბაღის მშენებლობას: პირველად – 5 ივნისს და მეორედ – 21 აგვისტოს. განვლილი ორთვენახევრის განმავლობაში მშენებლები საქმიანად გარჯილან: პირველი

სართულის კარკასის ნაცვლად, რომელსაც სართულთშორისი გადახურვის ფენის მოსაწყობად ამზადებდნენ, ამჯერად ორსართულიანობა გამოკვეთილია და ორიოდე დღის წინ მისი ჭერიც დაუბეტონებიათ. საკედლე ბლოკიც ადგილზეა და, სადაცაა, ოთახ-სათავსოთა გადატიხვრასაც შეუდგებიან.

ჩვენმიერი აღწერილობის ნაცვლად, უმჯობესია, საერთო ვითარების სურათის შესაქმნელად სათქმელი დავანებოთ შპს "მშენინდუსტრიის" წარმომადგენელს კასპის მუნიციპალიტეტში – ლევან დემეტრაშვილს, ვინც საერთო ზედამხედველი და მეთვალყურეა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებარე და

განახლებადი ობიექტებისა.

ლევან დემეტრაშვილი: – მეფისქალაქში 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობის დამკვეთია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. მშენებელი ორგანიზაციაა შპს "მშენჯგუფი" (უფროსი – ნიკოლოზ პაპიძე, სამუშაოთა მწარმოებელი – გია გიგუაშვილი). სადღეისოდ შესრულებულია საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე საქმე. ტემპი გრაფიკულად დაცულია. დავაზუსტებთ, რომ მშენებლობა გარდამავალია – საკმაოდ ორიგინალური პროექტის ნაგებობა, (რომელსაც კუთხოვანი ფორმა აქვს) 2025 წლის აპრილში უნდა დასრულდეს. ეზოსათვის განკუთვნილი ტერიტორია ორმხრივად შემოსაზღვრულია რკინა-ბეტონის კედლით. შენობა აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ყველა საშუალებით.

სექტემბრიდან მშენებლები შიდა სივრცის კედლების შენებას შეუდგებიან, რაც წინაპირობაა შემოდგომა-ზამთარში გათვალისწინებული სათანადო სამუშაოთა შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის, როგორიცაა ელექტროგაყვანილობა, ლესვა, ღებვა და სხვ. უკვე მომდევნო თვეში, სექტემბერში, დასრულდება სახურავის დადგმაც (ციტატის დასასრული).

... უკვე საგაისოდ, აპრილ-მაისში, ახალ ჭერქვეითში რომელი ბაღი დაიდებს თბილ და კეთილ ბუდეს – მეფისქალაქის პირველი თუ მეორე, ამის თაობაზე ყველაფერი გადაწყვეტილი არაა, არის რამდენიმე ვარიანტი: ერთი ითვალისწინებს პირველი ბაღის გადასვლას და ამას ემხრობა და აანონსებს მუნიციპალური ხელმძღვანელობაც. ასეთ შემთხვევაში გამოთავისუფლებული შენობა გადაეცემა სოფლისავე სამუსიკო სკოლას, რომელიც ნამდვილად საჭიროებს სასწავლო-სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. მეორე ვარიანტის შესახებაც არის მოსაზრება: სოფლის ორივე ბაღის კონტინგენტი შესახლდეს ახალ შენობაში. ამჟამად პირველში 50 აღსაზრდელი მოიაზრება დამდეგი სააღმზრდელო წლისათვის, ხოლო 30-35 – მეორეში (ამას ადასტურებენ მათი გამგეები – ქეთევან აბუაშვილი და ნათია ჭაღიაშვილი). საუბარი უფრო ადრე წამოიჭრა მეორე ბაღის შენობის ჩანაცვლებაზე, რადგანაც ის 1967 წლიდან ფუნქციონირებს ძველ ნაგებობაში, ვნახოთ, ვნახოთ... მეფისქალაქში ჯერხნობით ორივე ბაღის კოლექტივი სასიკეთო სიახლეთა მოლოდინის რეჟიმში იმყოფება.

გამართლებოდეთ! თუნდაც აქაური სასკოლო ახალგაზრდობის მსგავსად, რომლებიც 2024-25 სასწავლო წელს განახლებული საჯარო სკოლის შენობაში დაიწყებენ!

ჭვემო გომში - ფუვე ცხოვრობილ

ერთსართულიანი თეთრი შენობა ემეზობლება სოფლისავე ორი წლის წინ მწყობრში ჩამდგარი საჯარო სკოლის ნაგებობას და მოასფალტებული გზისპირა ერთიან სასწავლო-სააღმზრდელო სივრცეს ქმნის.

საქმიანად ფუსფუსებენ მომპირკეთებლები: ისინი აგებენ მეტლახს, გაჰყავთ ელექტროქსელი, ასრულებენ სამღებრო სამუშაოებს.

ყველაზე თვალგასახარი შტრიხი კი ახალმშენებლობისა ის გახლავთ, რომ ბაღის კუთვნილი ეზოს ფართზე უკვე დამონტაჟებულია პატარებისათვის განკუთვნილი სათამაშო და გასართობი ატრაქციონები.

დღე-დღეზე დაიწყება კაუჩუკის ფენის დაგება (ფილების დასტები უკვე ადგილზეა).

... ნამდვილად სამადლობელს იმსახურებენ "მეგა-ბილდის" ამხანაგობის კოლექტივის მშენებლები, რომლებმაც ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მშენებლობისათვის დადგენილ ვადაში (2023

წლევანდელი სააღმზრდელო-სასწავლო პროცესი, როგორც ცნობილია, 16 სექტემბრიდან განახლდება. აი, სოფელ ქვემო გომში კი, მართალია, აქაური პატარები ისევ ნაცნობი ბაღის კედლებში შეაბიჯებენ, მაგრამ მალევე, უკვე სანოემბროდ, ისინიცა და მათი საყვარელი აღმზრდელებიც ახალაგებული შენობის პირველი მახარობლები იქნებიან!

აქვე უნდა გაგახსენოთ, რომ ქვემო გომში ბაღის მშენებლობაზე ა. წ. თებერვალში უკვე მოგითხრობდით. "მოლოდინი, რომელიც სიხარულით გვავსებს" – ასეთი იყო ოპტიმისტური განწყობით გაჯერებული პუბლიკაციის სათაური. საამისო საფუძველს იძლეოდა მშენებლობის მიმდინარეობის საერთო ტემპი მიწურული ზამთრისპირზე. საბაბი გააჩნდათ და იმედიანად იყვნენ თვითონ მშენებლები, რომლებიც მაშინ წარმოგიდგინეთ.

შეიძლება ითქვას, მათ პირობა გაანაღდეს, ისინი წლევანდელი სექტემბრისათვის ხელებს დაიბანენ.

აი, როგორი სურათი დაგვხვდა ქვემო გომის ბაღის მშნებლობაზე 21 აგვისტოს:

(დასასრული. იხ. გვ-5.

ხელოვანთა წარმატებები

ისინი თავიანთი მრავალმხრივი მუსიკალური და სასიმღერო, ინდივიდუალური თუ გუნდური სახელოვნებო საქმიანობით ცნობილი არიან არა მარტო მუნიციპალური მასშტაბით: ერთი მშობლიური სოფლის საბავშვო ანსამბლის ყოფილი წევრი და ამჟამად კი ხელმძღვანელია და ქვემოთ მოგვითხრობს, როგორ იარა ამ გზაზე და მოვიდა აქამდე. მადლიერებით იხსენებს თავის ყოფილ პედაგოგსა და ანსამბლის თავკაცს...

მეორე კი, ხათუნა ხაჩიძე, მაისის ბოლოს ტელევიზიაში მიიწვიეს და წარუდგინეს ფართო საზოგადოებას. ეს ფაქტი ჩვენი ქალაქისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ამჯერად ჩვენი გაზეთის სტუმარია კასპელი ტყემალაძეების ოჯახის რძალი, იგი მშობლების ამაგზე გვიამბობს და პირადულზეც საუბრობს, როგორც მრავალშვილიანი დედა, ქალთა ანსამბლების წევრი, საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგი. მაშ ასე:

„ჩვენთვის სიმღერა უსწავლებია„

ხათუნა ხაჩიძე – ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგი, მომღერალი ოჯახის წევრი, საეკლესიო გუნდების მგალობელი, მრავალშვილიანი დედა

ჩემი მშობლების – გია და მანანა ხაჩიძეების – ცხოვრება, ერთიანადაც და ცალ-ცალკეც, უწყვეტლად დაკავშირებულია ხელოვნებასთან. მამა სურამელი კაცია. ჯერაც 14 წლისა იყო, როდესაც სურამიდან საქართველოს დედაქალაქში ჩავიდა და თავისი ნიჭის წყალობით მოხვდა ანსამბლ "ფიროსმანში". ამის შემდეგ იყო ტოპოგრაფიულ ტექნიკუმთან არსებული ბენდი და, აი, ასე, ძირითად პროფესიულ საქმიანობასთან ერთად პარალელურად, წარმატებით გამოდიოდა კულტურულ სფეროში: მათი გასტროლები საზღვარგარეთ ანშლაგით ტარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სცენაზე სწორედ სიმღერით გაიცნო საკუთარი საბედო – კონკურენტი ანსამბლის სოლისტი ქალიშვილი, შემდგომში დედაჩემი.

ასეთ გაცნობა-შეხვედრაზე თუ უთქვამთ: – გულმა გული იცნო და სულმა – სულიო! საქმე ისაა, რომ დედასაც, ასევე, ბავშვობიდან სასიყვარულო არჩევანი აკავშირებდა მუსიკასთან, კერძოდ, მღეროდა ქალთა ანსამბლში "რუსთავი". ის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ორ სპეციალობას დაეუფლა და ათეული წლებ-

ის განმავლობაში სოფელ მუხრანის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) კულტურის სახლში დირექტორობდა.

ჩემი საყვარელი სოფელი ვახსენე და, არ შემიძლია, არ გავიხსენო, რომ ქსნისპირა ეს ისტორიული სოფელი (თუნდაც, მხოლოდ წმინდა ქეთევან დედოფლის ხსენება რად ღირს!) მუდამ გამორჩეული იყო კულტურის სფეროში მოღვაწე უამრავი ადამიანითა და ოჯახებით. ასეთად, უპირველესად, ფარჩუკიძეების მუსიკალური ოჯახი უნდა დავასახელო.

გადამეტებულ ნათქვამად ნუ ჩამითვლით, მაგრამ როგორ არ ვთქვა ის, ათწლეულების მანძილზე მუხრანში არ ჩატარებულა ისეთი კულტურული ღონისძიება, იქ ხაჩიძეების ოჯახი არ გამოჩენილიყო! მომწყობი თუ არა, მონაწილე მაინც ყოველთვის იყო ჩემი მშობლების ოჯახი. დედა ამ ყველაფერს ახერხებდა დიდი ოჯახის (სამი შვილის) მოვლასთან ერთად და დღემდე ემსახურება მომავალი თაობის ჩამოყალიბებას კულტურული თვალსაზრისით.

– კვიცი გვარზე ხტისო! – ეს ნათქვამიც გაგეგონებათ და მეც დავიწყებ ჩემი ბავშვობიდან:

მუსიკალურ ოჯახში დაბადებული სულ სტუმარს ვხედავდი და სულ სტუმარ-მასპინძელთა ერთობლივი მღერა მესმოდა. ჰოდა, გასაკვირი იქნება განა, რომ მეც ჩემი მშობლებივით შევიყვარე სიმღერა, განსაკუთრებით ქართული, და მეც ჩემი მშობლებივით გამომდის ბევრი რამ.

სკოლაში სწავლისას აქტიური ვიყავი, სკოლის ცხოვრებაში არ არსებობდა ისეთი კლასგარეშე აქტივობა, რომ არ ვყოფილიყავი მონაწილე.

დასასრული იხ. გვ5.

„თხოთი„ ტრადიციას განაგრძობს

ირაკლი ქაწაშვილი – სოფელ აღაიანის საბავშვო ანსამბლ "თხოთის" ხელმძღვანელი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის ანსამბლ "თხოთის" მოსწავლეები, წლევანდელი ზაფხულის ერთკვირიანი საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, ჯერაც დაუვიწყარი და ამაღელვებელი შთაბეჭდილებებით არიან აღვსილი.

– მათთვის ესოდენ სამახსოვრო და დაუვიწყარი მაინც რა იყო ასეთი? – თუკი იკითხავთ, აქვე მოგახსენებთ:

ანსამბლი "თხოთი" მიწვეული იყო საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებითა და ხელშეწყობით ჩატარებულ ხალხური შემოქმედების 31-ე საერთაშორისო ფესტივალზე – სახელწოდებით: "ჩემი ლამაზი ქვეყანა – ბათუმი - 2024".

სიამოვნებით შეგახსენებთ, რომ ჩვენს ანსამბლს მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. წლების განმავლობაში მისი ხელმძღვანელი იყო კულტურის დამსახურებული მოღვაწე თამაზ დურგლიშვილი. 2023 წელს ბატონი თამაზის გარდაცვალების შემდეგ, აპრილიდან, წილად მხვდა

საპატიო მისია – ჩამენაცვლებინა ანსამბლის ხელმძღვანელის პოსტზე. განვლილი წელიწადნახევრის განმავლობაში არაერთ კულტურულ ღონისძიებაში ვმონაწილეობდით, მაგრამ ბათუმური გასტროლი პირველი იყო ახალ ხელმძღვანელთან ერთად – ყველაზე პრესტიჟული, ფართომასშტაბიანი, საპასუხისმგებლო, ვიდრე მუნიციპალური და სასოფლო აქტივობებია.

... ზემოთ აღნიშნული შემოქმედებითი ფესტივალი წელსაც აჭარაში გაიმართა. ჩვენს გარდა მასში მონაწილეობდნენ არაერთი უცხოური ქვეყნის ხალხური საკრავების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. მართალი ვთქვა, ძალიან ვღელავდი, რადგანაც ჩემთვის, როგორც ნაცადი ანსამბლის ახალბედა ხელმძღვანელისათვის, პირველი იყო. თუმცა, ერთიცაა: როგორც "თხოთის" წევრს, ადრე თვითონაც მიმიღია მონაწილეობა ამავე ფესტივალში. მე თამაზ მასწავლებელმა გამზარდა და, რა დაგიმალოთ, ორმაგი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ახალ საქმეს.

სადღეისოდ ანსამბლში ახალი თაობა წამოვიდა, თუმცა, არ მინდა, ანსამბლს დავუკარგო ტრადიციები და რეპერტუარი, რაც წლების განმავლობაში თამაზ მასწავლებელმა შექმნა და დაამკვიდრა. ამასთანავე, მსურს, ანსამბლის რეპერტუარი გავამდიდრო და შევავსო ახალი ნაწარმოებებით. ნაწილობრივ ეს ბათუმშიც შევძელით კიდეც – ფესტივალზე წარვდექით როგორც ძველი, ისევე, ახალი კლასიკური ნომრებით.

შემიძლია, კმაყოფილებითა და სიამაყით განვაცხადო, რომ ბათუმურ მასშტაბურ ფესტივალზე ანსამბლი "თხოთის" გამოსვლები განსაკუთრებული ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა. ჩვენი ბავშ

დასასრული იხ. გვ5.

ხელოვანთა წარმატებები

„ჩვენთვის სიმღერა უსწავლებია„

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -4.

ჩემს სოფელ მუხრანში ყოველი წლის 28 სექტემბერს აღინიშნებოდა (დღესაც ასეა) წმინდა ქეთევან დედოფლის ხსენების დღე. მუხრანელი მოსწავლეები თეატრალური წარმოდგენით ვაცოცხლებდით ისტორიულ სურათებს, წამებული დედოფლის ყოფით პასაჟებს და მე, როგორც მომღერალი, დატირების არიას ვასრულებდი... ასევე, მიყვარდა პოეზია და მახსოვს, ლიტერატურის გაკვეთილზე საპროგრამო ლექსებსაც კი მხატვრულად ვკითხულობდი. თანაც, ვმღეროდი სკოლის გუნდში, რომელიც წარმატებით გამოდიოდა საქართველოს მასშტაბით მოწყობილ ფესტივალებში. მეტიც, მარტო კარგი სწავლა და სიმღერა არ ყოფილა ჩემი გატაცება, დავდიოდი რამდენიმე წრეზე ერთდროულად (გიტარა, ქარგვა-ქსოვა, ფორტეპიანო, საესტრადო სიმღერა...). სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე პედაგოგიურ უნივერსიტეტში (ფსიქოლოგიის განხრით). ასევე, სწავლა გავაგრძელე დაწყებითი საფეხურის პედაგოგის სპეციალობით.

და, თანაც, დატვირთული სასწავლო ციკლის პარალელურად, დავოჯახდი და სურა-

მელ-მუხრანელმა გოგომ კასპში შემოვაბიჯე ტყემალაძეების ოჯახში. ახლა კასპი შეიქმნა ჩემი ყველაზე დიდი სიყვარულისა და ჩემი ყველაზე დიდი სიძლიერის ბუდე და ჭერქვეითი. ჩემმა ოჯახმაც შემიწყო ხელი კარიერული წინსვლის გაგრძელებაში. მახსოვს, უნივერსიტეტში "სტუდენტური დღეების" პროგრამულ კონცერტში მონაწილეობისას, კასპიდან თბილისში მთელი ჩემი ოჯახი ჩამობრძანდა ჩემს მოსასმენადა და საქომაგოდ.

ასეთი აქტიურობის პერიოდში გავხდი ოთხი შვილის დედა. არც ერთი წუთით არ შემიწყვეტია საკუთარ თავზე მუშაობა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირველი ჩემი სამუშაო ადგილი იყო ქ. კასპის №2 საბავშვო ბაღი, შემდეგ – ქ. კასპის №2 საჯარო სკოლა. მალე სამუშაოდ გადავედი (პარალელურად) მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში – დირექტორად.

სკოლებში გამოცხადებული სათანადო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდგომ მთლიანად დავუბრუნდი №2 საჯარო სკოლას, სადაც დღემდე მუსიკის პედაგოგი ვარ.

აი, ასე, მთელი ჩემი გამოცდილებით, ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს. აქტიურად ვარ ჩართული სასკოლო აქტივობებში, სასკოლო თემში ვაწყობ არაერთ თემატურ კულტურულ ღონისძიებას.

კარიერული საქმიანობის გარდა, ვმღერივარ კასპის ქალთა ანსამბლში "კაბადონი". ასევე, ვარ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მრევლი და მგალობელი.

და, მაინც, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, დღენიადაგ ვფუსფუსებ ოჯახში. უფროსი ქალიშვილები, 22 წლის მარიამი და 20 წლის ნინო ტყემალაძეები, ახლა სტუდენტები არიან. მეამაყება, რომ ორივემ ქ. კასპის №2 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ამჟამად კი საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც აქტიურები და წარმატებულები არიან, მოპოვებული აქვთ სასწავლო გრანტი... 14 წლის ანდრია და 10 წლის ნატალი ჯერ სასკოლო მერხებს უსხედან. ანდრია ფეხბურთით არის გატაცებული. ნატალი, თავის და-ძმებს რომ ვადარებ, ამ ასაკში ყველაზე აქტიურია – დადის სამუსიკო სკოლაში, სპორტულ ცეკვებზე, სალოტბარო სკოლაში...

უფლის წყალობით ასეთია ჩემი ცხოვრება, ერთხელ გაკეთებული არჩევანი და საყვარელი საქმიანობა!

ხელოვანთა წარმატებები

„თხოთი„ ტრადიციას განაგრძობს

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -4.

ვები სამაგალითონი, მეტიც, შეუდარებლები იყვნენ. უკლებლივ ყველა მოიხიბლა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჟიური, რომელმაც უმაღლესად შეაფასა ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური და კლასიკური გუნდური ნაწარმოებები. ამ საქმეში ანსამბლ "თხოთს" გვერდში უდგას დამსახურებული ლოტბარი დავით გაჩეჩილაძე. დიახ, ანსამბლის ბოლო ხანის წარმატებები ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია.

საფესტივლო ფორმატის ფარგლებში ანსამბლის მოსმენა-დათვალიერება შედგა შერჩევით ტურებში. ისინი გაიმართა ბათუმსა და ქობულეთში. აღაიანელი მოსწავლე გოგო-ბიჭები ორივეგან წარმატებით გამოვიდნენ და უმაღლეს დონეზე წარმოდგნენ საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობით. აი, ჩვენი ყოჩაღი მოსწავლეები, ვინც დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ შავიზღვისპირულ სცენებზე:

ანდრო ბეჟუაშვილი, ლიკა ბეჟუაშვილი, სოსო ბეჟუაშვილი, ქეთი ბეჟუაშვილი, მარიამ გელხაური, გიორგი ილურიძე, ნიკოლოზ ილურიძე, ბარბარე სულამანიძე, დაჩი ძულიაშვილი, საბა ხარხელი, ნათია ჯახაშვილი და თათია ჯახაშვილი.

... და, ბოლოს, ძალიან საამაყოა ის ფაქტი, რომ ანსამბლ "თხოთის" წევრები დაჯილდოვდნენ "ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების 31-ე საერთაშორისო ფესტივლის" ლაურეატის დიპლომებითა და ოქროს მედლებით.

გილოცავთ!

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

ჯვემო გომში - ოცვე ცვნოიმზრიოლ

დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-3.

წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე) უზრუნველყვეს პროგრამული დაკვეთის შესრულება. მისი დამკვეთი კი, როგორც გაცხადებულია სამთავრობო დონეზე, არის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

*** და, ბოლოს,

2022 წლის სექტემბერში, ანუ, თითქმის ორი წლის წინ, დავაანონსეთ მუნიციპალიტეტის რვა სოფელში საბავშვო ბაღების ერთიანი პროგრამის თაობაზე.

აქედან გამომდინარე, დროდადრო გაგაცანით, თუ როგორ ხორციელდება მშენებლობისა და განახლების პროცესები ოკამში, ქვემო გომში, ფერმაში, თეზში...

ახლო მომავალში გიამბობთ, თუ რა ხდება ამ მხრივ სოფელ ახალციხეში, თვალადში, ლამისყანაში, მეტეხში. არც ისაა დასამალი, რომ ზოგიერთ ახალმშენებლობაზე საქმე არადამაკმაყოფილებელი ტემპით არის გაშლილი.

*** დამდეგი სასწავლო-სააღმზრდელო წლით მონიჭებულ სიხარულს გილოცავთ, მეგობრებო!

„ახალი გენთიადი„ იძიებს ცვინტერესოს ყურადღებას რეპორტიჟებს ცვგუბეთი ფოტო-მასალის შეცვალილოლ. თხოვნით მივმართავთ თანხრეპონდენტებს - დასტოვეთ თქვენი ყვლა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცვინტერესო ფოტოები!

ქასპში

ჭიდაობას რა უნდა...

2024 წლის 22 ივლისს მუნიციპალური ტრადიციული ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში (2007-09 წლებში დაბადებულთა შორის) გაიმართა ქ. ქასპის საჭიდაო არენაზე, რომელიც ატარებს საქართველოს სამბოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის, ტრაგიკულად დაღუპული გიორგი (გორკა) მერებაშვილის (1980 - 2005) სახელს. ტურნირი მემორიალური ხასიათისაა და წელს ჩატარდა მეთხუთმეტედ!

მასში მონაწილეობდნენ ჭაბუკი მოჭიდავეები კასპიდანა და სოფლებიდან: მეტეხი, დოესი, ახალციხე, ლამისყანა, აგრეთვე, ქარელიდან, გორიდანა და თბილისიდან...

გაგაცნობთ ადგილობრივი სპორტსმენების შედეგებს:

ჩემპიონები: ერეკლე მჭედელაძე (კასპი), თემურ ოდოშაშვილი (მეტეხი) და თორნიკე გორჯოლაძე (კასპი);

მეორე პრიზიორები: ჯემალ კოშაძე (კასპი), აკო ხიზამბარელი (მეტეხი), სოსო ბეგლარაშვილი (დოესი) და საბა მარტიაშვილი (მეტეხი);

მესამე ადგილზე გავიდნენ: გიორგი მანჯავიძე (მეტეხი) და მოსე ბეგლარაშვილი (დოესი).

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ სპორტგაერთიანების დირექციის მიერ დაწესებული თასები, მედლები და დიპლომები.

მემორიალის ადრესატის ოჯახის მიერ პირველადგილოსანი მოჭიდავეები წახალისდნენ, ასევე, ფულადი პრიზებით.

ნოსტეში

საქართველოს ახალგაზრდული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში – შეჯიბრება, რომელიც გამიზნული და მოწოდებულია სახალხო გმირის – გიორგი სააკაძის სახელის საუკვდავოდ და ნოსტეში 2023 წელს პირველად გაიმართა, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ წელსაც (20 ივლისს) დაინიშნა და დაიწყო კიდეც ისტორიული სოფლის საჭიდაო არენაზე, მაგრამ მოულოდნელი გაავდრების გამო გადატანილიქნა და დასრულდა კასპში... ნოსტეში კი ისეთი გემრიელი შხაპუნა წვიმა გვაჩუქა ქართულმა ზეცამ, თქვენი მოწონებული!

პირველობაში ჩაება 13 სანაკრებო გუნდი საქართველოს სხვადასხვა მხარიდან: ერთი ან ორი გუნდი თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, საგარეჯოდან, ქარელიდან, ლენტეხიდან... მასპინძლებმა იასპარეზეს ქ. კასპისა და სოფელ ნოსტის გუნდებით (ბრავო – აქაურებს!).

საუკეთესოთა ოთხეული, ანუ ნახევარფინალური წყვილები შეადგინეს: "საგარეჯოს" შარშანდელმა გამარჯვებულმა, ქარელის "დურმიშხანისა" და "ხაბარელის", ასევე, "კასპის" ნაკრებებმა.

"დიდი მოურავის" სახელობის 2024 წლის გათამაშების ჩემპიონობა მოიპოვა კლუბმა "დურ

დასასრული გვ-8.

სპორტ INFO

დოესში

სოფლის ცენტრში ახალი სასპორტო კერა – ღია ტიპის საჭიდაო არენა – გაიხსნა საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს, სასპორტო მინიმოედნისა და სავარჯიშო ტრენაჟორების ბაქნის სიახლოვეს. ამით, ფაქტიურად, ერთ ტერიტორიულ რკალში შეიქმნა მშვენიერი სააღმზრდელო-სასწავლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი აქაური მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის.

დოესელებმა ახალი არენა გახსნილად აგვისტოს პირველ შაბათს (03. 08. 24) გამოაცხადეს, თუმცა მწყობრში სულ ორიოდე თვის წინ ჩადგა (ანალოგიურია სოფელ აღაიანის არენისა). სანამ ისინი პირველ ნახერხიან წრეს გაშლიდნენ და საქართველოს მხარეებიდან მსურველ მოასპარეზეებს მოიწვევდნენ, მანამდე იქაურობის დაპატრონება მოასწრო კუდმაკრატელა მერცხლების წყვილმა, გუმბათქვეშ ბუდეც გაიწყო და ბარტყებიც დაჩეკეს...

აქ, დოესში, ყოფილ გალავანთან ახლოს, ნაწისქვილარზე სანამ ახალდროების საჭიდაოს დააჭაშნიკებდნენ და ზედაც აქაური გარდაცვლილი მოჭიდავეების სულებსაც აცხონებდნენ (აკი, ორგანიზატორებმა მათი სახელობის პრიზებიც დააწესეს და გასცეს), უპრიანი იქნება, ძველდროებისაც ვთქვათ:

ახალი არენა აგებულია იმ ადგილზე, დოესელები ტოპონიმად "ნაწისქვილარს " რომ უწოდებენ. ასეა, ამ მიდამოზე გასული საუკუნის ლამის 80-ანი წლების ბოლომდე იდგა სოფლის ელექტროწისქვილი და იქ დიდხანს მეწისქვილეობდა ანზორ ხეჩიკაშვილი. გასახსენებელია ისიც, რომ თავის დროზე სოფელში უთავადიათ ერისთავებსა და ციციშვილებს, ამ უკანასკნელთა ნასახლარზე, სადაც შემორჩენილი იყო ოდენ გალავანი, დოესელებს მოუწყვიათ საჭიდაო-საჯილდაო... ახლა იმ ადგილიდან ახალ არენამდე სულ 50-ოდე მეტრია და შუაზე გაუდის სოფლის არხი, რომელიც გორის მხრიდან შემოედინება და აქაურობის ცოცხალი მაშველია... ერთიც: ციციშვილების ყოფილ საცხოვრისში საშუალო სკოლა მოქმედებდა. აი, აქ 1953 წელს ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობა დაუწყია პარმენ ოხანაშვილს და, თურმე, 1968 წლამდე მეურვეობდა ქართულ სპორტს სკოლის კედლებში თუ მის გარეთ. სწორედ იგი მოთავეობდა სოფლის ნაკრებ გუნდს ქართულ ჭიდაობაში, სწორედ მისი ამაგდრობით დავაჟკაცდა ბევრი დოესელი ახალგაზრდა მოჭიდავე.

სოფელ დოესის 2024 წლის საზაფხულო პირველობას რაც შეეხება, არენის ჭაშნაგირები იყვნენ 15-17 წლის ყმაწვილები და ჭაბუკები. მათ იასპარეზეს 10 წონით კატეგორიაში.

ჭიდაობის სანახაობას დანატრებული ადგილობრივი მაყურებლის გული მოიგეს ახალბედა დოესელმა მოჭიდავეებმა: გიორგი უხურგუნაშვილმა (მესამე იყო ყველაზე ნაკლებწონიანებში) და მოსე და სოსო ბეგლარაშვილებმა (ქვემძიმე წონაში ერთმა მესამე ადგილი დაიკავა, მეორემ კი – პირველი). კიდევ ერთმა, ლევან როინიშვილმა, სპეციალური პრიზი დაიმსახურა ("ყველაზე ლამაზი გდებისათვის"), რომელიც საჭიდაო არენის გახსნის სულისჩამდგმელსა და ყველაზე ცნობილ დოესელ ვეტერან მოჭიდავეს, ჯემალ ხორბალაძეს საგანგებოდ დაეწესებინა.

ყველა გამარჯვებული და პრიზიორი დაჯილდოვდა, კასპის სპორტგაერთიანების დირექციის სახელით – თასებით, მედლებითა და დიპლომებით. გაიცა ფულადი ჯილდოებიც. დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და სტუმარი ვეტერანი მოჭიდავეები, ფალავნები და ჩემპიონები, ხელისუფლების წარმომადგნლები.

ლამისყანაში

სოფელ ლამისყანაში – ქსნისპირა ისტორიულ მიწაზე – ახალი, მშვენიერი, გადახურული ტიპის საჭიდაო არენა შარშანდელ საივლიტობო დღესასწაულისას გაიხსნა და აქაური ლეგენდარული კაცი-მოჭიდავის – გოგლა რამაზაშვილის სახელი მიეკუთვნა.

ლამისყანელთა საერთო მოწადინებით, ენთუზიასტთა და მხარდამჭერთა ერთიანობით, წლევანდელ 28 ივლისს კვლავ მოიყარეს თავი ნაცადმა და შედარებით ახალთაობელმა მოჭიდავეებმა საქართველოს ქალაქებიდანა და სოფლებიდან (კასპი, თბილისი, გორი, ქარელი, ხაშური, რუსთავი, დუშეთი, მცხეთა... ლამისყანა, მეტეხი, თელიანი, წყნეთი, მუხრანი, რუისი...). ყველაზე მეტი (18) მოცილე აღმოჩნდა 80-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

"ივლიტობა –2024"-ის საუკეთესო სამეულების საპატიო კვარცხლბეკი შემდეგ

დასასრული გვ-8.

ავტობიოგრაფია (ხელნაწერთა ინსტიტუტი)

მე ვარ პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული მარიამი (ქვრივი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა), 88 წლისა (დავიბადე 1852 წ.).

1882 წ. არჩეული ვიქმენი ქართულ ვაჟთა (სათავადაზნაურო) სკოლის კომიტეტის წევრად, ცოტა ხნის მერმე – თავმჯდომარის ამხანაგად და შემდეგ – თვით თავმჯდომარედ.

ერთადერთი ქალი ვიყავი კომიტეტში.

ყოველთვის ხელს ვუწყობდი გლეხის შვილების მიღებას სკოლაში.

ვემსახურე ამ სკოლას 35 წელიწადს, 1917 წლამდე.

თვით ამ სკოლის (ამჟამად ტფილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის) შენობის გეგმა მე ჩამოვიტანე შვეციიდან.

ჩემი ინიციატივით სასწავლებელთან გაიხსნა ღარიბ მოსწავლეთათვის უფასო სასადილო, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ უცვლელად ვიყავი მის დახურვამდის (1917 წლამდის).

მხურვალე მონაწილეობა მივიღე ორკესტრის შექმნაში და სკოლის მუსიკის მასწავლებლად ზაქარია ფალიაშვილის მოწვევაში.

ჩემი ინიციატივით და ჩემს მიერ შეკრებილი თანხით 1906 წელში გაიხსნა პირველი ქართული ქალთა სკოლა, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავი 1917 წლამდე.

1894 წლიდან 1901 წლამდე ვიყავი ტფილისის მასწავლებელთა და აღმზრდელთა საზოგადოების თავმჯდომარედ. ამ საზოგადოებას ჰქონდა სამ განყოფილებიანი სკოლა: ქართული, რუსული და სომხური.

1894 წ. საკუთარი ხარჯით, პეტრე უმიკაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის დახმარებით, გამოვეცი ჩემი მამის, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ლექსები, ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით.

რამდენიმე წელიწადი ვთავმჯდომარეობდი სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტს მ. იპოლიტოვ-ივანოვის დირექტორობის დროს, რასაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს თავის "მოგონებებში" (გამოც. 1934 წ. გვ. 93).

1906 წელს მოვახერხე ნებართვის აღება, რათა დაგვეარსებინა "საქველმოქმედო საზოგადოება". რომელიც ფაქტიურად არალეგალურად დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს და მათ დაობლებულ ოჯახებს (გ. ლასხიშვილის "მემუარები", გამ. 1934 წ. გვ. 223-4).

რამდენჯერმე ვიყავი არჩეული წმ. ნინოს სასწავლებლის საბჭოს წევრად.

ვიყავი "წერა კითხვის საზოგადოების" საპატიო წევრი.

ვიყავი ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრი (1917–1918 წ.).

სოფელ ატენში და სოფელ ლამისყანაში (ყოფ. გორის მაზრაში) ჩემ ქმართან ერთად გავიყვანე წყაროს წყლები, დავაარსე კოოპერატივები, ვაჩუქე გლეხებს ატენში 100 დესეტინა ტყე და ლამისყანაში 50 დესეტინა. სოფელ ატენში გავახსნევინე სკოლა, რომლის ხარჯები სანახევროდ გავიზიარე "წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან." გლეხებს მუდამ დახმარებას ვუწევდით როგორც ექიმით და წამლებით, ისე ნივთიერად.

მყავდა რამდენიმე სტიპენდიანტი ქართულ ვაჟთა სკოლაში, რუსეთის და საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებში.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ვაძლევდი ფრანგული ენის კერძო გაკვეთილებს და დრო დადრო ვთარგმნიდი სხვა და სხვა პირებისა და ორგანიზაციების დავალებებს ფრანგულიდან ქართულად და ქართულიდან ფრანგულად.

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი (1852 - 1941)

მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა – ტფილისი - 16/I 1941 წ.
კალინინის ქუჩა, № 66.

ჩვენი გამოჩენილი მარიამი

მრავალმხრივია მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანის (1852–1941) საზოგადოებრივი ღვაწლი. მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების განვითარების საქმეს. მარიამის არქივში დაცულია მისი 1906 წლის მოხსენებითი ბარათი ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტისადმი, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში განათლებას საფუძვლად უნდა ედოს "სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა და ისტორია".

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწე ქალს. 1917 წლის 15 ივნისის გაზეთში "ხალხის თავისუფლება" იბეჭდება მარიამის წერილი სათაურით "ჩემი გულის ნადები", სადაც აღწერს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას: "სხვადასხვა პარტიად გაყოფილი, მისი შეგნებული ნაწილი ამხედრებული ერთმანეთზე... შეერთებაშია ჩვენი ძალა, ჩვენი ხსნა... შევერთდეთ თავისუფლებისათვის, ნუ თუ მონობის ბორკილები ისე კარგად მოგვიხდა, რომ აღარ გვინდა მოვიშოროთ".

... "თუმცა ძალიან მაღონებს ჩვენი ეხლანდელი ცხოვრება, ამასთან სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენ სამშობლოს უკეთესი დრო მოელის ახლო მომავალში და არც ერთი წუთი არ მივცემივარ სასოწარკვეთილებას". – ეს სიტყვები მარიამის კერძო წერილიდანაა.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მუდმივი ზრუნვა ეროვნული საქმისადმი, მისი აქტიურობა ამ მიმართულებით კარგად ჩანს მის მიერ "სათაყვანებელი სიძის" (როგორც თვითონ უწოდებდა) ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილებში; ასეთი საკმაოდ მრავალი შემოგვრჩა,

თუმცა ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ იმ წერილებზე შევაჩერებ, რომლებიც ეხება IX საუკუნის არქიტექტურულ ძეგლს ბენისის ღვთისმშობლის ეკლესიას.

"20 –ს აგვისტოს 1913 ლამისყანა – ხოვლე

ჩემო ძვირფასო ვანო

ჩემი რძლისაგან გავიგე რომ ჩემი წერილი რომელშიაც ბენისის ეკლესიის აღწერა არის და სურათიც კი (ჩემგან მშვენივრად დახატული ზეპირად) იმ ბარელიეფისა რომელიც აღმოსავლეთის კედელზე ვნახეთ, ჩვენის აზრით შენთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს და საშინლად გვინდა რომ ნახო მით უმეტესად რომ იმ ქვას წარწერილი აქვს რაღაცა – ჩვენს მღვდელს უნახავს მაგრამ ვერ გაურჩევია... როდის მოხვალ ჩემო ვანოჯან, რომ ბენისი გიჩვენოთ? წასვლით მოსვლით ერთი საათი არც კი მოუნდები.

მე და მაკო ზეგ 22-ს ტფილისში მივდივართ; მე ათასი საქმე მაქვს ზოგი სკოლისა, ზოგი ჩემი და ვგონებ სამი-ოთხი დღე მოუნდე. ძალიან მეამება რომ აქ ვიყო შენის მოსვლისთვის, ჩემო ვანოჯან, მაგრამ თუ უფრო გეხერხება ეხლავე წამოსვლა ბიძიას წინდაწინ მოსწერე წერილი და შარაბანს დაგახვედრებ. – უთუოდ უნდა ნახო ბენისის ეკლესია!

შენი ერთგული და მოსიყვარულე ძალუა–ნათლიკო"

(სტილი ამ წერილის და შემდეგშიც, ყველგან დაცულია – ს. ც. ფ.).

"ს. ხოვლედან 1913 23 მარიამობისთვე

"ჩემო ძვირფასო და საყვარელო ძალუა ნათლიკო! თქვენ მიერ გამოგზავნილი სურათი და

დასასრული გვ 8.

ჩვენი გამოჩენილი მკვლევარი

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -7.

მოკლე აღწერილობა ბენისის ეკლესიის ქანდაკებისა საგულისხმიერო და საყურადღებოა. როგორც სჩანს ეს ქანდაკება ამ ეკლესიის აღმშენებელს უნდა გვიხატავდეს და არა წმინდანს. ძალიან ვნანობ, რომ ლამისყანაში ყოფნისას არა ვიცოდი რა, თორემ უეჭველად ვნახავდი და სურათსაც გადავიღებდი. ეხლა-კი არ ვიცი, როგორ მოხერხდება: მე იმდენი სამუშავო მაქვს, რომ თავბრუ მეხვევა ხოლმე, როცა ერთს სამუშავოს შევწყვეტავ ხოლმე და მოვიგონებ რამდენი კიდევ სხვა მაქვს გასაკეთებელი; ჩემი "ქართველი ერის ისტორია" იბეჭდება, I ტომი, კორექტურა მომდის, იმას ვასწორებ და თანაც მეორე ტომსა ვწერ. მაგიდაზე მიწყვია ამას გარდა პეტერბურგიდან მოსული ჩემი ორი სტატიის კორექტურა და ვერ მომიცლია რომ გავასწორო და დავაბრუნო. ამასთანავე გასათავებელი მაქვს ერთი დიდი გამოკვლევა, რომლის ბეჭდვა უკვე დაწყობილია და გაგრძელება ენკენისთვეში უნდა ჩავაბარო. თუ ამას ყველას მივუმატებთ დისერტაციას, რომელიც ამ შემოდგომაზე უნდა დავწერო და გამოვცე, მაშინ დაახლოვებით სრული იქმნება იმ სამუშაოს ნუსხა, რომელიც მე კისრად მაწევს. ამიტომ, თუმცა მე თითონაც ძალიან მოწადინებული ვარ, ვეჭვობ, რომ მოვახერხებ მე პირადად ლამისყანაში კიდევ ამოსვლას. თუ მოვახერხე მხოლოდ რამდენიმე საათით – თუ. როგორც ვხედავ ბენისის ნახვა გაზაფხულისათვის უნდა გადავდვა. ჩვენები ყველანი დიდს გულითადს სალამს მოგიძღვნიანთ თქვენ, ბიძია საშას, ნინო ნიკოლოზის ასულს, კნ. მაკოს შვილებითურთ, მე ხელებს დაგიკოცნით შვილების სიყვარულით.

თქვენი მოსიყვარულე ვანო ჯავახიშვილი".

***

"ლამისყანა 27. 8. 1913 წ. – ხოვლე

ჩემო ძვირფასო ვანოჯან, მე ძალიან მქონდა იმედი რომ კიდევ გვნახავდი და ერთად გავისეირნებდით ბენისისაკენ. შენი წერილის შემდეგ შევდივარ შენს მდგომარეობაში რადგანაც სამი მეცნიერის სამუშაო გქონია და როგორ უნდა მოერიო ამ ცოტა ხანში, ჩემო შვილიკოჯან! დაღალვასთან ერთად დიდს კმაყოფილებასაც უნდა გრძნობდე, გენაცვალე შენ, ჩვენო სიამაყე და ეგ თუ გაგიადვილებს საქმეს?! – სტაზია და ნათელა ეხლა თქვენთან იქნებიან! დაგვიკოცნე ტკბილად. მე ტფილისიდან დავაშურე დაბრუნება რადგანაც ბიძიას არ შეეძლო. ეხლა უკეთ არის. 31-ს ისევ უნდა წავიდე ტფილისში სკოლის საქმეების გამო. მაგრა გეხვევით – თქვენებს გულითადს სალამს უძღვნით.

თქვენი ნათლიკო"

ამ წერილების გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია ინტერესი იმის შესახებ, ივანე ჯავახიშვილმა შეძლო თუ არა ბენისის ეკლესიის მონახულება. – ეს ჯერჯერობით ვერ გავარკვიეთ.

ამასთან ერთად, დავინტერესდით ჯამბაკურ-ორბელიანთა კავშირით დასახელებულ ეკლესიასთან. საარქივო მასალებში მივაკვლიეთ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებმაც ნაწილობრივ ნათელი მოჰფინა ისტორიას:

1912 წელს თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკს 4583 მანეთად შეუფასებია ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანების აგარაკი ბენისი.

1913-1915 წლების საბუთების მიხედვით ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანებს ლამისყანაში 313 დღიური სახნავი მიწა აქვთ, ბენისში კი – 336.

1915 წელს "საშემოსავლო ინსპექციებს საადგილმამულო გადასახადით" დაუბეგრავს გორის მაზრის 16 სოფელი. მათ შორისაა ლამისყანა და ბენისი.

ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: "გორის მაზრის სოფლებზე ატენი, ბენისი, ბელოთი, კორბი, ქვეში, ლამისყანა, მარანა, მარმაზეთი, ნაქალაქევი, საცხენეთი, თეზი, ხოშური, ხადურიანთ კარი, ელტურა განისაზღვრა 1916 წლისათვის სახელმწიფო და საადგილმამულო გადასახადებით". – ამ ჩამონათვალში ბენისთან ერთად ყურადღებას იქცევს ნაქალაქევი. სამი ათეული წლის წინ ხანდაზმულმა ლამისყანელებმა გვითხრეს: "ნაქალაქევის ხევიდან ბენისის ღვთისმშობლის ეკლესიამდე ერთი კილომეტრი თუ იქნებაო".

108 წლის წინ ბენისიც და ნაქალაქევიც სოფლების სიაშია... შემდეგ რა მოხდა, ამის გასარკვევად, დამეთანხმებით, ღირს კვლევის გაგრძელება.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი

14 მარიამობისთვე, 2024 წ.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

ლამისყანაში

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -6.

ნაირად გამოიყურება (ინდივიდუალურ ჩათვლაში):

60 კილოგრამი – გიორგი ინაშვილი (გორი), იაკობ გასიტაშვილი (ქარელი), აკო ხიზამბარელი (მეტეხი);

70 კგ. – საბა არავიაშვილი (ქარელი), გურამ გასიტაშვილი (გორი), გიორგი დულარიძე (ქარელი);

80 კგ. – ზურაბ და გიორგი ჭიღლაძეები (ძმები გორიდან), ერეკლე ოძელაშვილი (წყნეთი);

+80 კილოგრამი – ლაშა მღებრიშვილი (გორი), გიორგი პაპუნაშვილი (გორი), ნიკა სიდამონიძე (ქარელი).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ: კასპის სპორტდაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი შოთა გოგიაშვილი) დირექციის მიერ დაწესებული თასებით, მედლებითა და დიპლომებით; შეჯიბრების ადგილობრივი ინიციატორების მხრიდან – ფულადი ჯილდოებით (შესაბამისად, 500, 300 და 200 ლარით), ხოლო მძიმე წონის გამარჯვებული, დამატებით, ქართული ჭიდაობისათვის დამახასიათებელი ტრადიციული საჩუქრით – ცხვრით.

აღსანიშნავია, რომ ლამისყანური ასპარეზობა ორ დონეზე გიმართა, როგორც ინდივიდუალური – უფროსებს შორის, ისე გუნდური – ჭაბუკთა შორის. ამასთან, ორივე მემორიალური ხასიათისა იყო და მიეძღვნა, შესაბამისად, ლევან ბეინაშვილი – უმცროსის დაბადებიდან მე-40 და გოგლა რამაზაშვილის 125-ე წლისთავებს.

ჭაბუკთა სამმა გუნდმა წრიული სისტემით იასპარეზა და ადგილები ასეთი თანმიმდევრობით დაიკავ-გაინაწილეს:

1 – მეტეხი, 2 – ლამისყანა, 3 – წილკანი.

ნოსტელში

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -6.

მიშხანმა" და დაიმსახურა პირველადგილოსნისათვის გათვალისწინებული ფულადი ჯილდო (4500 ლარი).

შარშანდელმა მე-3 პრიზიორმა – "კასპის" გუნდმა წელს ერთი საფეხურით აინაცვლა და მე-2 საპრიზო ადგილზე დარჩა. ერთნაირი ანგარიშით (3:2) სძლია "გორიჯვარისა" და "ხაბარელის" ნაკრებებს, მაგრამ გადამწყვეტი ფინალური შეხვედრა დათმო (1:3) "დურმიშხანის" გუნდთან.

აი, ვინ გამოდიოდა კასპის ნაკრების სახელით: ვასილ მამულაშვილი, მიხეილ გაფრინდაშვილი, დავით ნინიკაშვილი, სოსო ჟივიძე, გივი კვინჩია და დავით ჭიკაძე. გუნდი მოამზადა იოსებ მამულაშვილმა (ჯილდო – 3000 ლარი).

საგანგებო შექების ღირსია ნოსტელების მოწადინება და სადებიუტო შეჯიბრებაში გუნდის გამოყვანა. მართალია, ნოსტელებმა პირველივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ მათი გამოჩენა, უთუოდ, მისასალმებელია. საამისოდ სოფლის ახალგაზრდები (ლუკა ჩხაიძე, ნიკა თინიკაშვილი, ვახტანგ ჯლანტიაშვილი, გიორგი მდინარაძე, შოთა პატარქალაშვილი და საბა მარტიაშვილი) დარაზმა სპორტის პედაგოგმა და თავადაც სპორტსმენმა, ჩვენი სპორტგაერთიანების მწვრთნელმა შამილ ჯანგიშერაშვილმა.

მუსიკოს-შემსრულებელთა სამეული ასეთია: ზაზა ოხანაშვილი (დოლი), ჯემალ ყეინაშვილი და ავთანდილ ბიჭიკაშვილი (ორივე – ზურნა).

გამოიწერეთ "ახალი გვნთავლი"! გახლით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76